ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 126 (19568) ◆ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 31 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ, ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲡᲪᲛᲔᲜ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ — ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲣᲧᲐᲝᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲜ.

ᲣᲨᲣᲐᲚᲘᲓ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ თბილისის ქარხანა „ᲒᲐᲖᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ“ და ᲔᲡ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲩᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜ-ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜ ᲐᲕᲡᲔᲑᲓᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲕᲘᲐ.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲚᲐᲢᲘᲐ ᲛᲐᲘᲐᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲗᲐᲪ ᲐᲬᲘᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲓᲔᲚᲡ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲣᲦᲔᲡ ᲑᲔᲭᲘᲗ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ.

ᲡᲘᲠᲝᲛᲐ ᲡᲘᲠᲝᲛᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ — ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲣᲧᲐᲝᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲜ.

ᲣᲨᲣᲐᲚᲘᲓ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ „ᲒᲐᲖᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲩᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜ-ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜ ᲐᲕᲡᲔᲑᲓᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲕᲘᲐ.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲚᲐᲢᲘᲐ ᲛᲐᲘᲐᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲗᲐᲪ ᲐᲬᲘᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲓᲔᲚᲡ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲣᲦᲔᲡ ᲑᲔᲭᲘᲗ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ.

Ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲡ — ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ!

ᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲒᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲠᲘᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. მაგრამ მეცადინეობა ამ მიმართულებით არამც და არამც არ უნდა შენელდეს. კვლავაც უნდა გავაძლიერთ აღმზრდელობითი მუშაობის უკეთესი, სრულყოფილ კანონმდებლობა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲡᲙᲙ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲣᲤᲝᲠᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲗ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲔᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ, ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ �გᲐᲠᲔᲛᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲮᲜᲘᲖᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ, ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ �გᲐᲠᲔᲛᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲮᲜᲘᲖᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲝᲠᲘᲛᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲔᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲝᲠᲘᲛᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲔᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲝᲠᲘᲛᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲔᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚ

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

ᲒᲐᲖᲘᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის XXVII ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა:

„პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის გაყვანას, რომელიც თითქმის ერთისამად გაზრდის რესპუბლიკაში ამ ძვირფასი სათბობის მიწოდებას“.

და აი, მშენებლობა დაიწყო. იგი დაევალა ჟინვალის ჰიდროტექნიკური კვანძის სამშენებლო სამართველოს. მშენებლებმა დაბა ფასანაურში, მდინარე არაგვის ნაპირას დაიდეს ბინა. ჯერჯერობით გვირაბგამყვანები თავიანთ საწარმოო ბაზას ქმნიან. აგებენ ადმინისტრაციულ კორპუსს, გაპყავთ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, საფუძველი ჩაუყარეს მექანიკურ საამქროს, საკომპრესოროს, სანიტარიულ კვანძს, სარემონტო სახელოსნოს, გაპყავთ მისასვლელი გზები და ა. შ. სულ მალე დაიწყება 600 მეტრი სიგრძის გვირაბის გაყვანა, რომლის სიმაღლე ხუთ მეტრამდე იქნება.

მშენებლობაზე შეეხვდით სამართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილეს მ. ხაჩიძეს. მან თქვა:

— გაზსადენი მეთორმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამშენებლო ობიექტია. მაგისტრალი ორჯონიკიძიდან თბილისამდე დარიალის ხეობასა და ჯვრის უღელტეხილზე ურთულეს გეოლოგიურ პირობებში გაივლის.

ჩვენმა კოლექტივმა ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობაზე ურთულესი მშენებლობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ტრანსკავკასიონის მეორე გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობა ჩვენ დაგვეკისრა.

დარიალის ხეობიდან არაგვის ხეობის დავაკებამდე ჩვენმა გვირაბგამყვანებმა 5.500 მეტრი საეთრო სიგრძის 8 გვირაბი უნდა გაიყვანონ. სამუშაო საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 25 მილიონი მანეთია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაზსადენის მშენებლობა დაჩქარებული ტემპით — 1987 წელს უნდა დამთავრდეს. დავალების პირნათლად შესრულებისათვის წლეულს უნდა განხორციელდეს არანაკლებ 10 მილიონი მანეთის სამუშაოები. ეს კი დამატებითს რესურსებს, თითოეული მშენებლის დიდ ორგანიზებულობას, გაძლიერებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

წლის დასაწყისიდან დარიალის ხეობაში, დაბა ფასანაურში შესრულდა სამუშაოები, რომელთა ღირებულება სამ მილიონ მანეთზე მეტია.

— გაზსადენის მშენებლობას დაჟმული ვადებში დავამთავრებთ, — გვითხრა საუბრის დასასრულს მ. ხაჩიძემ, — ამით დიდ სარგებლობას მოვუტანთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, ღირსეულ წვლილს შევიტანთ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

დ. ᲑᲘᲠᲬᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

ᲒᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲣᲪᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲚᲘᲗ

ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მაგისტრალური ნავთობსადენის ტექნოლოგიური ტრანსპორტისა და სპეცავტომანქანების სამქროს ქვაღნის ავტოკოლონის უფროსს ჯუმბერ შოთას ძე ნარსიას თვალი გამორჩენაზე ეჭირა. იგი ყალბი დოკუმენტების შედეგნის ოსტატია. ქვაღნაში მუშაობის ერთი წლის მანძილზე მოასწრო 12.033 ლიტრი ა-76 მარკის ბენზინის მითვისება, რომლის ღირებულება სახელმწიფო სარეალიზაციო თანხით 36.099 მანეთს შეადგენს.

შარშანდელი წელი ისე დამთავრდა, არც ზემდგომ, არც ადგილობრივ მაკონტროლებელ ორგანოებს აზრადაც არ მოსვლიათ ერთხელ მაინც ჩაეხედათ ბენზინის ხარჯვის ნარსიასეული საქმეში. უკონტროლობით გათამამებულმა ჯ. ნარსიამ ახალ 1986 წელსაც განაგრძო ფული იოლი გზით შოვნის თავისი ხერხები. სულ მოკლე დროში — პირველი იანვრიდან 9 იანვრამდე ყალბად გამოწერა ავტომანქანების საგზური ფურცლები, რითაც 1292 ლიტრი ბენზინი უნდა მიეტაცებინა, მაგრამ არ დაიალეს, ყალბიმქმნელს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა სწორედ მაშინ ჩაავლეს ხელი, როცა ნარსიას თავი ფონს გასული ეგონა.

უკონტროლობაც არის და უკონტროლობაც. ქვაღნის ავტოკოლონაში ერთ წელზე მეტია არ ირიცხება ავტომანქანა გაზ-555 — სახელმწიფო № 88-გამ, მაგრამ საგზურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ აჩარსებულ მანქანას შარშან „დახარჯული“ აქვს 6.903 ლიტრი ბენზინი. ეს გამონაკლისი არ არის: 12 მანქანადან შარშან არ უმუშავია 4 ავტომანქანას, ბენზინს კი აწერდნენ!

მადა ჭამაში მოდისო, ჯ. ნარსიამ ბოლოს არც არარსებულ ავტომანქანებზე ყალბად გამოწერილი საგზურებით მიღებული შემოსავალი იკმარა და ფულს მკვდარს სულებს უწერდა და ითვისებდა.

საქართველოს მაგისტრალური ნავთობსადენი ორგანიზაციის ამ უბანზე დანაშაულობანი იმის გამო მოხდა, რომ არ იყო კონტროლი და წესრიგი. ჯ. ნარსია კანონის მთელი სიმკაცრით დასჯება, მაგრამ ზემდგომი სამსახურის ხელმძღვანელებსაც უნდა მოეკითხოს თავისი.

ბ. ᲩᲘᲮᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

ᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲮᲘᲗ

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ მაგიდასთან ორნი სხედან. საუბარი, რომელსაც ისმენთ, წმინდა საწარმოო ხასიათისაა. საამქროს ვერ შეასრულა გეგმა; ამან გამოიწვია კონვეიერული სისტემის დაღვევა — შეფერხდა საწარმოს მუშაობა და, ბუნებრივია, მისი პრესტიჟიც შეილახა.

დირექტორი მოხსნით ემუქრება საამქროს უფროსს, ბრალს სდებს დისციპლინის შესუსტებაში, ორგანიზატორული უნარის დაქვეითებაში. მისი სიტყვებიდან დასკვნა გამოგაქვთ, რომ საამქროს უფროსმა ვერ უზრუნველყო შრომის სწორი ორგანიზაცია, ვერ დარაზმა მუშები და ხელმძღვანელების თვალში ნდობა დაკარგა.

საამქროს უფროსი თავაზიანად უსმენს ხელმძღვანელს, მაგრამ დროდადრო ეკამათება კიდეც. გეგმის შეუსრულებლობა, მისი აზრით, გამოიწვია არა საამქროში შრომის დისციპლინის მოშლამ, არამედ იმან, რომ ფაბრიკაში ვერ შეძლეს საჭირო ნედლეულით საამქროს მომარაგება. გუშინ სამ საათს მოცდნენ შენი, გუშინწინ — ხუთ საათს, წინა ოთხშაბათს — კიდევ უფრო დიდხანს; ეს თითო-ოროლა შემთხვევა არ არის. ეს თვით დირექტორმაც კარგად იცის, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა. ხოლო, გადატეხა ჯოხი უდანაშაულო ადამიანზე, ვერაფერი გამოსავალიაო, — თავს იცავს საამქროს უფროსი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ:

ᲮᲘᲚᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

კამათი გრძელდება. სიმართლის სასწორი ხან ერთ მხარეს იხრება, ხან — მეორეს.

აი, ის კი, თუ რომელი მხარეა მართალი, რომლის არგუმენტებია უფრო დამაჯერებელი, მას შემდეგ გაიოქვეკა, როცა ორივე მოკამათე დარბაზში მსხდომთ შეუერთდება, ხოლო დიალოგის ავკარეს საფუძველიანად გაანალიზებენ ფსიქოლოგი და მათი კოლეგები.

ხედებით, ალბათ, ეს ფაქტი კონკრეტული საწარმოს ცხოვრებიდან არ არის აღებული. ეს ტიპური გაკვეთილია იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგისა, რომელიც ითვალისწინებს მაღალი დონის ხელმძღვანელი კადრების ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ეს შედარებით სიახლეა ჩვენს სინამდვილეში და უშუალოდ ეხმაურება დღევანდელი დღის მოთხოვნებს ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევის შესახებ. იგი ცხოვრებით ნაკარნახევი აუცილებლობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში მეცნიერული სიღრმით არის გაანალიზებული და განსაზღვრული ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების წინაშე წამოჭრილი უდიდესი კომპლექსური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში და ნაჩვენებია, რომ სოციალისტური საზოგადოება წარმატებით ვერ იფუნქციონირებს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არ მიაგნო მასების შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ახალ გზებს. რაც უფრო მასშტაბური იქნება ისტორიული მიზნები, მით უფრო საჭიროა მილიონთა ბატონპატრონულად დაინტერესებული, პასუხისმგებლური, შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მათს მიღწევებში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თავისებურებანი ნათლად აისახება ჩვენი ცხოვრების წესში, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების ერთიანობაში. მარქსი და ენგელსი კოლექტივისა და პიროვნების ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და, მათი აზრით, მხოლოდ კოლექტივში არსებობს ყოველი ინდივიდისათვის იმის საშუალება, რომ თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს.

ამდენად, შრომითი კოლექტივი, სადაც ყალიბდება ადამიანთა მეგობრული ურთიერთობა, საერთო მიზანი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და. იხვეწება მათი პროფესიული ოსტატობა, საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენს.

კოლექტიური და პირადი ინტერესების ერთიანობა განაპირობებს შრომელთა ინიციატივის გაშლას და ახლისა და პროგრესულის განუწყვეტლივ ძიებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობის გაძლიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში „უდიდესი როლი განეკუთვნება შრომითს კოლექტივს, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უწონარეს ყოვლისა ეკონომიკაში. საწარმოების უფლებათა გაფართოება, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და სოციალისტური გეგმიანობის გაძლიერება რეალურ შინაარსს იძენს მხოლოდ მაშინ, თუ იზრდება თვით მშრომელი ადამიანის აქტიურობა. არ უნდა შეეფერგდეთ ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს, როცა მუშები არ იცნობენ თავიანთი საწარმოს გეგმებს, როცა მათ წინადადებებს ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან და არ ითვალისწინებენ. ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ ინერციის ძალები ზოგან ჯერ კიდევ ქმნიან ამინდს, ხელს უშლიან მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმას მართვაში, მათთვის წარმოების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვას“.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ შრომითი კოლექტივების როლს ეკონომიკის განვითარებაში, მის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებს, მათი შეგნების ამაღლებისა და მართვაში ჩაბმის საკითხებს.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲒᲗᲐ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ კოლექტივების ბუნების მეცნიერულმა კვლევამ შეგვახედა იდუმალ სამყაროში, სადაც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდა იმ ადამიანურ შესაძლებლობათა მდიდარი არსენალი, რომელიც აქამდე უცნობი ან შეუფასებელი იყო.

რას გვიჩვენებს საწარმოო კოლექტივების ბუნების შესწავლა, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების ცოდნა?

პირველ ყოვლისა იმას, რომ მრავალი პრობლემის გადაჭრას ეკონომიკის სფეროში ახლებურად უნდა მივუდგეთ და გავითვალისწინოთ ისეთი ორგანიზაციული, ტექნიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლთა ახსნა მარტო ეკონომიკურ მეცნიერებას არ ძალუძს.

წარმოო და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითს საქმიანობაში.

ასეთი ერთიანობის მიღწევის ეტალონად გამოდგება კომუნისტური ბრიგადა, რომლის ყოველი წევრი იძლევა მაღალი შეგნებული დისციპლინის, საზოგადებრივი აქტიურობის, შრომისა და ყოფა-ცხოვრებაში ზნეობრივი ქცევის საუკეთესო მაგალითებს.

ყველაფერი ეს ერთი ასპექტია ადამიანთა იმ მრავალფეროვანი მოღვაწეობისა, რომელიც, მართალია, ეკონომიკის სფეროში ხდება, მაგრამ უფრო მეტად მეცნიერების სხვა დარგს განეკუთვნება.

მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია ტოლფასოვნად ამოუდგეს ბახარში დღეს ეკონომიკას, არის ფსიქოლოგია.

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ — ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ფსიქოლოგიამ უნდა გადაწყვეტოს და წყვეტს ეკონომიკურ-სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნების ქცევისა და მოღვაწეობის პრობლემებს. კერძოდ, წარმოების ეფექტიანი ორგანიზაციისათვის განსაკუთრებით ღირებულია ბევრი მეცნიერულ-ექსპერიმენტული გამოკვლევა წარმოების ფსიქოლოგიის დარგში: შრომისადმი დამოკიდებულება, კადრების დენადობა, ჯგუფური ურთიერთდამოკიდებულება, სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და ა. შ. ძირითადად, ეს გამოკვლევები ეფუძნება საწარმოო საქმიანობის სფეროს, რომლის ბაზაზეც ნაჩვენებია გარემოში ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის ეფექტიანობა.

ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიის დანიშნულებაა სწორად არეგულიროს და კალაპოტი დაუწესოს ადამიანის ქცევას.

სამამულო ფსიქოლოგიაში დ. უზნაძემ ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ადამიანის ქცევის რეგულაციის სისტემა, დაეყრდნო რა განწყობის თეორიას. განწყობა ეს არის ადამიანის მოღვაწეობის პროგრამა, რომელიც სტიმულს აძლევს და განაწყობს მას მოქმედებისათვის. იგი აერთიანებს როგორც შინაგან (მოთხოვნილება, მოტივები), ისე გარეგან (სიტუაცია, გარემო) ფაქტორებს და ამ პროგრამის რეალიზაციის საშუალებებსა და ხერხებს.

განწყობის თეორიის საფუძველზე დ. უზნაძის მოწაფეებმა შემუშავეს შემდგომში ადამიანის საქმიანობის ფსიქოლოგიური რეგულაციის კონცეფცია.

ამ ფსიქოლოგიური კონცეფციების ამოსავალი პრინციპები არა მარტო თეორიულად ასაბუთებენ ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას წარმოების ინტენსიფიკაციის საქმეში, არამედ საბავენ პრაქტიკულ ამოცანებსაც.

აი, როგორი შესაძლებლობა გვაქვს დავემყაროთ წარმოების, სოციალური ფსიქოლოგიის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ მიღწევებს და გამოვიყენოთ იგი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენების საქმეს დიდი დაღი დაასვა თავის დროზე ფსიქოტექნიკის, ტესტოლოგიის აკრძალვამ, რითაც ხდებოდა სამუშაოზე კადრების მიღება და მათი მონაცემების გრადაცია. ეს ის პერიოდია, როცა ზოგიერთი მეცნიერი თუ შესაბამისი უწყება ეჭვის თვალით უცქერდა კიბერნეტიკისა და გენეტიკის მომავალს.

ცხადია, ასეთ ვითარებაში თეორიული ფსიქოლოგია უფრო განვითარდა, ვიდრე პრაქტიკული, ამდენად სოციალური ფსიქოლოგიის სარგებლიანობა და ეფექტი დიდი ხნის მანძილზე უმნიშვნელო და შეუფასებელი დარჩა.

შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემების დამუშავებაზე გაცილებით მეტ სახსრებს ხარჯავენ, ვიდრე ზოგიერთი ტექნიკური და სახუნებისმეტყველო დარგების საკითხების შესწავლაზე.

იუნესკოს საპროგნოზო ცენტრის მონაცემებით, 2000 წელს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მეცნიერული დარგი სოციალური ფსიქოლოგია იქნება. ეარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის.

საკითხი, ასე რომ გვიმიდგება დღეს და პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ, ეს არის ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა.

დარგი კი, რომელიც მეცნიერულ ქვაკუთხედს დაუდებს მას და გადაწყვეტის გზებს მოუძებნის ესოდენ დიდი გარდატეხისა და გარდაქმნების ეპოქაში ფსიქოლოგია.

ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲘᲖᲝᲛᲔᲑᲐ

ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ

ᲐᲛ აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეერთების პიონერები და პირველი მერცხლები ჩვენს რესპუბლიკაში ამ რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდნენ.

კერძოდ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1983 წელს თბილისთ მიმართა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრას, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრას და ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო ინსტიტუტს ფილიალს, რომ სამინისტროს საბაზო საწარმოებში მოეწყოთ სისტემური გამოკვლევა და ორგანიზაციული და სოციალური ფსიქოლოგიური გარემოს დაპროექტება მართვისა და ადამზრდელობითი მუშაობის გაძლიერების მიზნით, დაემუშავებინათ ხელმძღვანელთა საქმიანი და პიროვნული თვისებების დიაგნოსტიკის, ატესტაციისა და მათს სათანადებობო მომზადების მეთოდებსა და ფორმებთან დაკავშირებული სამეურნეო-სახელშეკრულებო თემები.

უდავოა, გაბრაზვა და გადაწყვეტილება მოწონებას და მხარდაჭერას იმსახურებს.

მაგალითი, რომელიც სტატიის დასაწყისში მოვიყვანეთ, აღებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის საქმიანობიდან, როცა აქ წარმოებდა მუშაობა აღნიშნული სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელთა საქმიანი და პიროვნული თვისებების გამოვლენისა და მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის მეთოდით სამმართველო ჩვენებისა და უნარის გამოშუშავებისათვის. (კათედრის გამგე — რ. ქვარცხავა, თემის ხელმძღვანელი — შ. აბზიანიძე).

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲡᲘᲡᲚᲝᲓ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲐᲚᲑᲐᲗ ყველა ვერ გადავიტანთ. მით უმეტეს ის, ვინც დიდხანს იდგა დაბა გუმისთაში ბინის მიღების რიგში, შესახლებულიყო გასული წლის დამლევს აქ საექსპლოატაციოდ გადაცემულ ახალ საცხოვრებელ სახლში. დაბრეცილი კედლები და გათბობის დგარები, პირდაღებული ღრიჭოები კარ-ფანჯრებზე, უმოქმედო სანტექნიკა და ლიფტი შედეგია უპასუხისმგებლობისა, რომელიც გამოიჩინა სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ი. რ. ჯობავამ, რომლის წაყრუებით 144-ბინიანი საცხოვრებელი სახლი საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი დეფექტითა და ხარვეზით.

ბინების უხარისხო მოპირკეთების ანალოგიური ფაქტები დაუშვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სახლთსაშენებელი კომბინატის ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა ა. ნ. დვალიშვილმა თბილისში ნუკუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონში ორი ახალი. კორპუსის მშენებლობის დროს, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. უკონტროლობას აქ ის მოჰყვა, რომ ზოგიერთი ბინაში საერთოდ არ იყო დაყენებული აბაზანები, სანტექნიკის ხელსაწყოები და გაზის ქურები.

მაგრამ უკონტროლობისა და გულგრილობის ყველა „რეკორდს“ გადაჭარბა იმავე თბილისის სახლთსაშენებელი კომბინატის № 2 ნაკადის უფროსმა ვ. კ. გალდავამ გლდანისხევში ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე. პროექტებისაგან გადახვევას, ტექნიკური პირობების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევას მოჰყვა ის, რომ უკვე მშენებლობის დროს ერთ-ერთ კორპუსში ჩამოიგრა კიბის მარში. მეორე შემთხვევაში კი საცხოვრებელი კორპუსის მთელი შვიდი სართული უმარშებოდ აეშენეს, რამაც შემდეგ სერიოზული სიძნელეები შექმნა მათს დამონტაჟებაში.

ეს და სხვა ნეგატიური ფაქტები გამოვლინდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების შედეგად. შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი სახლთსაშენებელი კომბინატის ხელმძღვანელებმა ჯეროვანი დასკვნები ვერ გამოიტანეს საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მოთხოვნებიდან. კერძოდ, გამოირკვა, რომ არ ახორციელებს სათანადო კონტროლს სამშენებლო ნორმებისა და წესების უთუო შესრულებისადმი სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატის № 1 ნაკადის უფროსი ნ. კ. გოგუაც. ამასთან უყაირათობის გამო, რომელიც გამოიჩინეს ამავე სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსის მოადგილემ ფარმოების დარგში ზ. ჯიქიამ, თბილისის № 4 სახლთსაშენებელი კომბინატის მსხვილბლოკიანი სახლთსაშენებელი ქარხნის დირექტორმა რ. დ. ჭელიძემ, ამ საწარმოებში გამოშვებული რკნანებეტონის კონსტრუქციები და ნაწარმი სიმტკიცითა და სხვა პარამეტრების მიხედვით არ აკმაყოფილებენ პროექტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. შემოწმების დროს № 4 სახლთსაშენებელ კომბინატში ბეტონდარღვევა გამოვლინდა წარმოების ორგანიზაციაშიც, ზეგანკვეთურ სამუშაოთა აღრიცხვასა და ანაზღაურებაში, ტაბელის წარმოებაში, მატერიალური დახმარების ფონდებიდან სახსრების ხარჯვაში.

მკაცრად შეაფასა რა უპასუხისმგებლობისა და წაყრუების, სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად თითოეულს მიეზღო „დამსახურებისამებრ“. მაგალითად, რ. დ. ჭელიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ი. რ. ჯობავას — საყვედური. შესაბამისად დაისაჯნენ სხვა ხელმძღვანელებიც. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილის თ. გ. ჟორდანიას ყურადღება, რომელიც ხარისხის საკითხებს განაგებს, მიეპყრეს პროექტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების მოთხოვნათა უხეშ დარღვევებს, რომლებსაც ურიგდებიან სოხუმის აგრეთვე თბილისის №№ 1, 2 და 4 სახლთსაშენებელი კომბინატები საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს. მას დაევალა განხორციელოს გადაუდებელი ღონისძიებანი ამ დარღვევების აღმოსაფხვრელად.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ და მეტად საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვეტონ მომდინარე წელსა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა.

მათ შორის არის თბილისის სართავი ფაბრიკაც. აქ მომუშავეთა 60 პროცენტზე მეტი ახალგაზრდობაა, რომელსაც უნარი შესწევს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მოწინავე მრთვლები (მარცხნიდან) ნაირა ცარციძე და ეთერ ზასეშვილი.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ ᲑᲐᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ შარშან 18 ნოემბრის „კომუნისტში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია, სადაც მკითხველებს ვაცნობდით სტყვეის საწინააღმდეგო ღონისძიებას — ვენახების კაპრონის ბადით გადახურვის მეთოდს. ამ ღონისძიების განხორციელებას ხელმძღვანელობს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო სამუშაოს აწარმოებს აბჰეტაში არსებული სპეციალური სამმართველო.

სტიქია კი ამ გაზაფხულზე მაინც ბობოქრობს, ყოველი წლის გაზაფხულის დამლევს და ზაფხულის დამდეგს კახეთის ვენახებს, ველ-მინდორებს აურაცხელ ზარალს აყენებს. ასე იყო წლეულსაც.

კორესპონდენციამ მკითხველთა ინტერესი გამოიწვია და ბევრი წერილიც მოვიდა რედაქციაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი **ნ. ბოჭორიშვილი** არათუ დაინტერესებულა ვენახების ბადით გადახურვით, არამედ საკუთარ წინადადებასა და მეთოდსაც გვთავაზობს. საქმე ის არის, რომ მას თავის სოფელ ბუმეტში (თელავის რაიონი), რომელიც თითქმის ყოველ წელს ისეტყვება, საკარმიდამო ვენახის ერკვეული ნაწილი ადგილობრივ (რაიონული და სოფლის) ხელმძღვანელთა დახმარებით გადაუხურავს კაპრონის ბადით, ბადის გადახურვას არ სჭირდება არავითარი დამატებითი ბოძები და სპეციალური მავთული. ამასთან ერთად ვენახის ამ წესით გადახურვა ძალზე იაფი ჯდება, ერთ ჰექტარზე მხოლოდ ბადის ღირებულების (კილოგრამი ბადე 6 მანეთამდე ღირს, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ ძვირია. რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, ალბათ, იზრუნებს მისი გაიაფებისათვის) გადაბდა უხდებათ.

წერილის ავტორი ფეატყობინებს: ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი ეკონომიური, მარტივია — მევენახეებს თავად შეუძლიათ გადახურონ ვაზის მწკრივები; ამასთან ზვრებში სამექანიზაციო სამუშაოები დაუბრკოლებლად სრულდება, გარდა ამისა, — დაასკვნის ავტორი, — ბადე მწკრივებზე იმდენად დახრილი ფორმით არის გადახურული, რომ მასზე სეტყვა, ხოლო ზამთარში თოვლი არ ჩერდება (ზამთრობით ბადეს აკეცავ არ სჭირდება და შესაძლოა ბადემ გარკვეულწილად ყინვისაგანაც დაიცვას ვაზი). ამ წესით გადახურულ ვენახებში ვაზები კარგად იწამლება (ზაბიანის ხსნარი ბადეს გამძლეობას მატებს), ყურძენიც საღია და სხვა.

ქუთაისელი **გ. ვახტანგაძე** ვენახების ბადით გადახურვის მეთოდის მომხრეა, მაგრამ ეეჭვება, რომ კაპრონის ბადე მზე-წვიმის დროს მალე გამოვა მწყობრიდან და უფრო გააძვირებს ამ მეთოდით ვენახების გადახურვასო. გვთავაზობს წინადადებას, რომ გადასასურავად ლითონი გამოიყენონ. მცხეთელი **ზ. ჯალიაშვილი** კი ჩვენს მეცნიერ მუშაკებს სთხოვს შექმნან ისეთი საყრდენები და ბადე, რომ მან ვაზს ბოლომდე გაუძლოს.

გურჯაანის რაიონის ჩალაუბნის კოლმეურნეობის მევენახეებს **ი. ღვინაშვილს, გ. ღვინაშვილს, ზ. ჩირიკაშვილს და გ. ლუაშვილს** მოსწონთ ვენახების ბადით გადახურვის მეთოდი და მიაჩნიათ, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ როგორმე სეტყვისაგან დაიფარონ ვენახები, „ორომტრიქა ზარალის გარდა, ადამიანის განწყობასა და შრომისუნარიანობაზე ერთობ უარყოფითად მოქმედებსო.

თბილისელ **ვ. ჩიქობავას** (რარიგ სასიხარულოა რომ დედაქალაქსაც აწუხებს სოფლის მშრომელთა ბედი, ვენახების ბედი) თავისი პატარა ვენახი „შუშის ქსოვილის“ ძაფებისაგან მოქსოვილი შინაკეთი ბადით გადაუხურავს და ასე იცავს ვაზს სეტყვისაგან, როგორც თვითონ გვწერს, ცხრა წელია, რაც ბადე გადავხურე და კიდევ დიდხანს გაძლებსო. მეცნიერ მუშაკებს სთხოვს ამ მასალისაგან მოქსოვილი ბადე გამოცადონ.

როგორც ვხედავთ, ვენახების ბადით გადახურვის მეთოდს საკმაო გამოხმაურება მოჰყვა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მიმოხილვაში მოყვანილ სხვადასხვა მეთოდზე სხვებიც იფიქრებენ და წერილობით გვაცნობებენ თავიანთ მოსაზრებას. ამ გზით დაზუსტდება, დაიხვეწება სეტყვისაგან ზვრების დაცვის მეთოდი, რაც ჩვენს სოფლის მეურნეობას სასი

ჩვენ ვიცით...

ვანა მე მშიერი ვიყავ,
ეკმისთვინ წამოვედი?
შენთან ლაპარაკი მინდა,
და მისთვინ წამოვედი!
მინდა დილა გავათენო,
ღამისთვინ წამოვედი,
დამავიწყდა... ველარ ვამბობ,
რამისთვინ წამოვედი!

ეს საიათნოვაა! ჩემი თაობის თბილისელებს უნახავს იგი. ტანსაცმელი იყო და ბეჭებში გაშლილი, ღიმილით ქვეშ-ქვეშ გამომზერალი. შავი მაღალი ბოხოხი ეხურა, შავი ჩოხა ეცვა, გრძელყალთებიანი, ჩოხის ნაპირებზე ბუზმენტის ბრტყელ ჩაფარიშემოვლებული, წითელი ატლასის ლაღად გადაღეღილგულისპირიანი. კი არ მოდიოდა, მობრძანდებოდა. სალაყბოზე შემოსულს, აღტაცებით ხვდებოდნენ ვაჭრები, ხელოსნები, ქალაქის სხვადასხვანაირად აჭრილი ხალხი. საიათნოვა საერთო სალმის ნიშნად ლაღად ასწევდა და წრიულად შემოტარებდა ნაშენივრად აქნილ მარჯვენა ხელს. — საღოლ, საიათნოვა!.. საზს მიართმევდნენ, იმ საზსაც ასწევდა, მერე დაუკრავდა, თან რბილად ჩამოუვლიდა და ფართო ღიმილით დაამღერებდა:

ღორი ხეზე როგორ უნდა
ავიდეს,
ავი კაცი სალხინოდან გავიდეს,
საიათნოვა მეჯლიშებში
შავიდეს,
ლხინი უყვარს, ყალმაყალს
დაიწუნებს...

შემოდიოდა სალაყბოზე მისი კუშტი მეტოქეც ყოჩ-აშუღი, მსტოვრის თხელი ღიმილით, ისიც მაგარი ვინნე, ისიც მაგრი გამოცანა-ლექსების ფთქმელი. ბებუთოვით მჭრელად ;გამოატარებდა სიტყვებს:

სულ ერთია, ზაფხული თუ
გაზაფხული, — ამიცანს!
ხელით-ხელში გადავდივარ
თვალაკრული, — ამიცანს!
მადლიცა მაქვს და გულიც
მაქვს
დალახვრული, — ამიცანს!,
მეც მჭამენ და მეც სხვასა ვჭამ
დაწაფული, — ამიცანს!

საიათნოვა ჯიბეზე დაიკრავდა ხელს, ფულს ამოიღებდა, ჰაერში შეაგდებდა და გაცინებული დაიძახებდა, ფულო! ჩაიჩი მაშაყს დაჭკრავდა. ხალხი აღტაცებით ამოძახებდა: — საღოლ, საიათნოვა!.. არ ჩანდნენ, მაგრამ ყველა ჩვენგანი გრძნობდა, რომ საიდანღაც აწურულნი იყურებოდნენ თბილისის დაკალმული კეკლუცებიც — საიათნოვა ლაღობდა:

მე გლეხი ვარ, თავადობა არ
მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა
არ მინდა...
საქართველოს მეფის საზანდარი
ვარ...
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი
დაიწყოს!..

სულ ასე გვიდგას იგი დღესაც თვალწინ, ქართულ სცენაზე გაცოცხლებული.

ახალ წიგნებში კი უცნაური რანაირი წერია. აი, სულ ახალი ნათქვამი: „საიათნოვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვაქვს“... დაბადებულა და გარდაცვლილა თბილისში. დაბადებაგარდაცვალების თარიღები ზუსტად არ არის ცნობილი. „ძველთბილისურად უნდა ითქვას: — ვაა!..“ დიდნაღვაწმა პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა იცოდა: „სიბერის დროს ბერად შედგა. 1795 წელს, როცა აღამაჰმადხანმა ტფილისი აიღო, საათნოვა შეეფარა ციხის ეკლესიის გალავანს და იქ ოთხმოწლოვანი მოხუცი სპარსელებმა მოკლეს“. სამხედრო შტაბის გენერალმა პოტო: ოცოდა: „აღამაჰმადხანისაგან თბილისის აღების დროს დაიღუპა ქართველი გამოჩენილი საზანდარი-მგოსანი საათნოვა“. იოსებ გრიშაშვილმა ხომ იცოდა და აციცოდა. საიათნოვას ეპიტაფიაც აქვეა: „ჩემი საძირკველი ქვიზედა აგებული კი არ გეგონოთ, ჩემი საძირკველი აგებულია ქარაფოვან კლდეზედ ნაშენი დუღაბითა და ქვითკირითა“. ჩვენ, მისი მცნობი თბილისელებიც, ახლა სხვაფრივ როგორღა ვიფიქრებთ — ის ომში დაიღუპა, ჩვენს მტრებს შეაკვდა, შეიძლება მოხუცმა ამალი [illegible] ასწია, ჯვარი ასწია, მაგრამ [illegible] ჩვენს მტრებს შეაკვდა. არა, [illegible] ჩვენ ამას ველარ ვიფიქრებთ. ჩვენ აქ, ამ [illegible] გვყავს მახვილით განგმირული საიათნოვა. აქ უნდა ვთქვათ ხოლმე მუდამ, — [illegible] ბოლმე [illegible] ქართველებმა, სომხებმა, [illegible] ეროვნებამ [illegible] ეროვნებამ [illegible] ეროვნებამ

ზღაპრად ქცეული სინამდვილე



დარბაზში შესვლისთანავე ნაცნობი ხატაურის ქსოვილი შევნიშნე—თბილისის საზეიმო რიტუალების სასახლის მდიდრულად მოხატული ფარდების ავტორის დარეჯან ბერიძის ხელწერა ვიცანი. გეომეტრიული ხაზები თუ ყვავილწნულები, ადამიანები, აყვავებული ხეები, ფრინველები ისეთი მკაფიო, დახვეწილი შტრიხებითაა გამოსახული, რომ ფარდა, გარდა მისი პირდაპირი დანიშნულებისა, დამოუკიდებელ დეკორატიულ მოტივად აღიქმება ინტერიერში.

კეთილი მწყემსის თემა და საერთოდ სიკეთის თემა გასდევს ლაიტმოტივად დ. ბერიძის მთელ ექსპოზიციას კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. აქ „გაიგონებთ“ ურმულსაც და გაეცნობით სამშობლოდან მოწოლილი მცხოვრები მხატვრის თვალით დანახულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟს, ფანტასტიკურ მოტივებს: „წითელი ღამე“, და „ალმოდებული ხე“; აქ ლირიკული სურათებიც ბევრია — „განმარტოება“, „ოცნება“, „მუსიკოსი“, ზღაპრული ყვავილები, სიხშირად ნანახი სურათები, მიუწვდომელი ციხე-კოშკები.

ლენინგრადელი მხატვრის პოეტურ სამყაროს ორიოდე წლის წინათ გავეცანით პირველად თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში, მაგრამ ამჯერად უფრო ვრცელი და სანტერესოა მისი გამოფენა. დარეჯან ბერიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია 6 პერსონალურ გამოფენას ითვლის. ხატვის პირველი გაკვეთილები დარეჯანმა შობლიურ თბილისში, გურამ ქუთათელაძის სახელოსნოში მიიღო. 1962-63 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქსოვილების ფაკულტეტზე, შემდეგ კი ლენინგრადის ვ. მუხინას სახელობის უმაღლეს სამხატვრო საწარმოო სასწავლებელში დეკორატიული ქსოვილების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

სადიპლომო ნაშრომით „დეკორატიული ქსოვილები საზოგადოებრივ ინტერიერებში“ მონაწილეობდა დ. ბერიძე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე და სიგელიც მიიღო. ნაშრომის ერთი ნაწილი სტუდენტთა რჩეული დიპლომების საკავშირო გამოფენიდან საჩუქრად გაეგზავნა ქ. მანჩესტერის გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტს. 1980 წელს დარეჯანი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სპპატიო სიგელით დაჯილდოვდა ოლიმპიადა-80-ის მხატვრული გაფორმებისათვის. ამავე წლიდან არის იგი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, მუშაობს ლენინგრადის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კომბინატში. დ. ბერიძის შემოქმედება გამოირჩევა ჟანრული მრავალფეროვნებითაც — ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, დეკორატიული ქსოვილი, გობელენი.

შთაბეჭდილებათა წიგნში მისი ხელოვნებით მინიშნებული სიამოვნებისათვის თანამემამულენი მადლიერებას გამოთქვამენ ხელოვნისადმი.

ნიჭიერი მხატვარი ქალის ნამუშევრებს ელიან საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების საგამოფენო დარბაზებიც.

ნ. ბერიანიძე.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი.

ორმოცი რეპორტაჟი

31 მაისიდან 29 ივნისამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩები მექსიკის 12 ქალაქში მოეწყობა, სულ 52 შეხვედრა გაიმართება. გთავაზობთ ექსკლუზივ ქეყჯგუფში ყველა — 16 წინასწარი მატჩის სრულ ნუსხას. შეხვედრის რიგითი ნომრის შემდეგ მონიშნულია ჯგუფის ნომერი, მატჩის გამართვის თარიღი, ადგილი და თამაშის დასაწყისი. დრო თბილისსაა, რომლის სხვაობა მექსიკის დროსთან 11 საათია. მაგალითად, როცა მექსიკაში მატჩი 16 საათზე დაიწყება, თბილისში უკვე მომდევნო ღამის 3 საათი იქნება.

შავი შრიფტით გამოყოფილია ის შეხვედრები, რომელთა ტრანსლაციას აპირებს სსრ კავშირის ტელევიზია. მატჩები, რომელთა ნომრებია 1, 3, 5, 7, 11, 15, 16, 20, 23, 26, 28, 33 და 35, გადმოცემული იქნება პირდაპირი ტრანსლაციით. დანარჩენი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს მეორე დღეს საღამოთი ვიხილავთ. 52 შეხვედრიდან ნავარაუდევია 40 მატჩის ტრანსლაცია და აქედან 24 წინასწარი ტურნირის, 16 კი დასკვნითი ეტაპისა იქნება.

გარდა ამისა, მკითხველებს ვთავაზობთ საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის დაწვრილებით და დაზუსტებულ საფეხბურთო პროგრამას 31 მაისიდან 8 ივნისს ჩათვლით:

31 მაისი
პირველი პროგრამა

23.00 საათი. მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. იტალია — ბულგარეთი.

1 ივნისი
პირველი პროგრამა

23.00. ბრაზილია — ესპანეთი.

2 ივნისი.
პირველი პროგრამა

10.10. ბრაზილია — ესპანეთი. მეორე ტაიმი.

10.55. საფრანგეთი — კანადა. მეორე ტაიმი.

19.00 საფრანგეთი — კანადა.

23.00. სსრ კავშირი — უნგრეთი.

3 ივნისი
პირველი პროგრამა

9.55. სსრ კავშირი — უნგრეთი (2 ივნისის ტრანსლაციის განმეორება).

24.00. მექსიკა — ბელგია. მეორე ტაიმი.

4 ივნისი
პირველი პროგრამა

10.40. პორტუგალია — ინგლისი. მეორე ტაიმი.

19.00. პორტუგალია — ინგლისი.

22.40. „მსოფლიო ჩემპიონატის დღიური“.

23.00. გფრ-ურუგვაი.

მეორე პროგრამა

11.35. მექსიკა — ბელგია. მეორე ტაიმი.

5 ივნისი
პირველი პროგრამა

10.15. გფრ — ურუგვაი. მეორე ტაიმი (4 ივნისის ტრანსლაციის განმეორება).

11.00. შოტლანდია — დანია. მეორე ტაიმი.

19.00 შოტლანდია — დანია.

23.00 საფრანგეთი — სსრ კავშირი.

6 ივნისი
პირველი პროგრამა

9.50. საფრანგეთი — სსრ კავშირი. მეორე ტაიმი (5 ივნისის ტრანსლაციის განმეორება).

10.35. იტალია — არგენტინა. მეორე ტაიმი.

19.00. იტალია — არგენტინა.

23.00. კანადა — უნგრეთი.

7 ივნისი
პირველი პროგრამა

10.10. კანადა — უნგრეთი. მეორე ტაიმი (6 ივნისის ტრანსლაციის განმეორება).

23.00. ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია.

მეორე პროგრამა

12.30. ბრაზილია — ალჟირი.

8 ივნისი
პირველი პროგრამა

23.00. გფრ — შოტლანდია. შესვენებისას „მსოფლიო ჩემპიონატის დღიური“.

მეორე პროგრამა

12.00 პოლონეთი — პორტუგალია.

1. I 31. V მეხიკო
2. III 1. VI ლეონი
3. IV 1. VI გვადალახარა
4. I 2. VI მეხიკო
5. III 2. VI ირაპუატო
6. VI 2. VI მონტერეი
7. II 3. VI მეხიკო
8. IV 3. VI გვადალახარა
9. VI 3. VI მონტერეი
10. II 4. VI ტოლუკა
11. V 4. VI კერეტარო
12. V 4. VI ნეცაუალკოიოტლი
13. I 5. VI პუებლა
14. I 5. VI მეხიკო
15. III 5. VI ლეონი
16. III. 6. VI ირაპუატო
17. IV 6. VI გვადალახარა
18. VI 6. VI მონტერეი
19. II 7. VI მეხიკო
20. IV 7. VI გვადალახარა
21. VI 7. VI მონტერეი
22. II 8. VI ტოლუკა
23. V 8. VI კერეტარო
24. V 8. VI ნეცაუალკოიოტლი
25. III 9. VI ლ ე ო ნ ი
26. III 9. VI ირაპუატო
27. I 10. VI პუებლა
28. I 10. VI მეხიკო
29. II 11. VI მეხიკო
30. II 11. VI ტოლუკა
31. VI 11. VI გვადალახარა
32. VI 11. VI მონტერეი
33. IV 12. VI გვადალახარა
34. IV 12. VI მონტერეი
35. V 13. VI კერეტარო
36. V 13. VI ნეცაუალკოიოტლი
ი ტალია-ბულგარეთი
კანადა-საფრანგეთი
ესპანეთი-ბრაზილია
არგენტინა-ს. კორეა
სსრ კავშირი-უნგრეთი
მაროკო-პოლონეთი
ბელგია-მექსიკა
ალჟირი-ჩრდ. ირლანდია
პორტუგალია-ინგლისი
პარაგვაი-ერაყი
ურუგვაი-გფრ
შოტლანდია-დანია
იტალია-არგენტინა
ს. კორეა-ბულგარეთი
საფრანგეთი-სსრ კავშირი
უნგრეთი-კანადა
ბრაზილია-ალჟირი
ინგლისი-მაროკო
მექსიკა-პარაგვაი
ჩრდ. ირლანდია-ესპანეთი
პოლონეთი-პორტუგალია
ერაყი-ბელგია
გფრ-შოტლანდია
დანია-ურუგვაი
უნგრეთი-საფრანგეთი
სსრ კავშირი-კანადა
ს. კორეა-იტალია
არგენტინა-ბულგარეთი
ერაყი-მექსიკა
პარაგვაი-ბელგია
პორტუგალია-მაროკო
ინგლისი-პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია-ბრაზილია
ალჟირი-ესპანეთი
დანია-გფრ
შოტლანდია-ურუგვაი
28.00
03.00
28.00
23.00
28.00
03.00
28.00
23.00
28.00
28.00
03.00
28.00
28.00
03.00
28.00
23.00
28.00
03.00
28.00
28.00
23.00
23.00
03.00
28.00
23.00
28.00
28.00

„პიკე“ — მხიარული მასპინძელი

„**პიკე**“ — მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატის სახუმარო თილისმაა. თავდაპირველად მის გამოჩენას დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ — კრიტიკოსები მის შემქმნელებს უსაყვედურებდნენ, რომ მათ მექსიკა მწვანე წიწაკად წარმოადგინეს.

ასეა თუ ისე, „პიკემ“ გაუძლო 11 ათასი „პრეტენდენტის“ სერიოზულ კონკურენციას და ახალგაზრდა მექსიკელ მხატვართა ჯგუფის (ოქტავიო რომეროს ხელმძღვანელობით) მიერ კონკურსზე წარმოდგენილი ესკიზი საუკეთესოდ ცნო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა.

სიმპათიური „პიკე“ ექვს ძმას შორის ნაბოლარაა. უფროსმა ძმამ „ვილიმ“ კი პლანეტის საფეხბურთო საზოგადოებრიობა ზუსტად ოცი წლის წინათ ააფორიაქა. ეს მხიარული ლომის ბოკვერი, რომელსაც ფეხბურთელის ფორმა ეცვა და მკერდს ინგლისის ეროვნული დროშა უმშვენებდა, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა გახდა.

თუ ინგლისური „ვილის“ გამოჩენას მკუხარე ტაშით შეხვდნენ, „ხუანიტოს“ — სომბრეროიანი ლოყაღაღაბაკი ბიჭუნას გამოჩენამ მექსიკის საზოგადოებრიობის საპროტესტო ქარიშხალი გამოიწვია. მკაცრად გააკრიტიკეს ესკიზის ავტორი — ამერიკელი კარიკატურისტი, დალასელი ზ. დევისი, რომელსაც 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა შეუკვეთა ამ სამუშაოს შესრულება. ავტორს უწოდეს უგემოვნო ადამიანი, რომელიც არ იცნობს მექსიკას. მაგრამ რა უცნაურიც უნდა იყოს, საზოგადოებრივი აზრის ასეთმა რეაქციამ „ხუანიტო“ უფრო პოპულარული გახადა.

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მხატვარ ჰერსტ შაფერის მიერ კონკურსზე წარმოდგენილ რამდენიმე ასეულ ესკიზს შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს სასაცილო ტყუპები „ტიპი“ და „ტაპი“.

1978 წლის ჩემპიონატმა მსოფლოს „პამპიტო“ — მხიარული ბიჭუნა გააცნო, რომელსაც არგენტინის ეროვნული ნაკრების ფორმა ეცვა, 1982 წელი კი მხიარული ფორთოხლის „ნარანჰიტოს“ დაბადების წელი გახდა.



ი უ მ ო რ ი

● **ფეხბურთის** გუნდმა მატჩი დიდი ანგარიშით წააგო და მწვრთნელმა მოთამაშეებს უსაყვედურა:

— თამაშის წინ ხომ გაგაფრთხილეთ, ისე ითამაშეთ, როგორც არასდროს, ის კი არ მითქვამს, ისე ითამაშეთ, თითქოს არასოდეს გითამაშიათ-მეთქი.

● **ფეხბურთელები** სამოთხის კარს მიადგნენ, მაგრამ წმინდა პეტრემ არ მიიღო — სამოთხეში ფეხბურთელების ადგილი არ არის, ჯოჯოხეთში მიბრძანდითო. დაღვრემილი ფეხბურთელები ზანტად გამობრუნდნენ უკან და აი, უცებ წმინდა პეტრემ გასძახა:

— თქვენი ცენტრალური თავდამსხმელიც მანდ არის?

— აქა ვარ, მამაო, — მიუგო ფორვარდმა და მიირბინა!

— შენ შეგიძლია, შვილო მოხვიდე. — ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი პეტრემ. — მე შენს ბოლო თამაშს ვუყურე და დავწმუნდი, შენ ფეხბურთელი არა ხარ.

● — **ფეხბურთის** რომელი გუნდის გულშემატკივარი ხართ?

— ჰკითხა დალაქმა კლიენტს.

— რომელისაც თქვენ ბრძანდებით.

— თქვენ ხომ არ იცით მე რომლის გულშემატკივარი ვარ?!

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ხელში სამართებელი გიჭირავთ...

● **მატჩის** შემდეგ მწვრთნელმა ფეხბურთელები შეკრიბა და უთხრა:

— ბიჭებო, მე თქვენი შესაძლებლობა სათანადოდ ვერ შევაფასე, წინა კვირას სულ ტყუილად გიმტკიცებდით, ამაზე უარესად ვეღარ ითამაშებთ-მეთქი.

● — **ეს** საშინელებაა, — უსაყვედურა ცოლმა ქმარს, — შენ ზეპირად იცი ფეხბურთში პირველობის გათამაშების კალენდარი და ყველა ფეხბურთელის გვარი და სახელი, მაგრამ სანაძლეოს დავდებ, რომ ჩვენი ქორწინების თარიღი არ გახსოვს.

— როგორ გეკადრება, ჩემო ძვირფასო, ჩვენ მამინ ვიქორწინეთ, „მოტორმა“ „ტემპს“ რომ მოუგო.

საჩემპიონატო ნაკვესები

◆ **ჯეკ ლონდონი:** „ოქროს მაძიებელთ“ ახლა მექსიკაში მოუყრიათ თავი?...

◆ **შემთხვევა,** როცა ოქრო-ვერცხლის მოყვარულობა კერძოსაკუთრულ ტენდენციად არ ჩაითვლება.

◆ **გულშემატკივარი** — ნაკრებს: თქვენი დიდი მოლოდინი გვექნება, მაგრამ მაინც... გვიან ჩამოსვლას გისურვებთ!

◆ **ლობანოვსკი** — ჩივაძეს: ფეხბურთს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი მწვრთნელი ყავსო... ჩივაძე — ლობანოვსკის: დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი მცველი ყავსო...

◆ **ბიჭობა** იმან დაიჩემოს, ვინც იტყვის — ნახევარფინალში კი არა, ნახე, ვარ ფინალშიო!

ვახტანგ ჯავრიშვილი.

უსიტყვოდ.
ლ. მართაშვილის და ი. უჟინაშვილის ნახატი.

ფეხბურთის მსოფლიო მოლოდინში

31 მაისიდან 29 ივნისამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩები მექსიკის 12 ქალაქში მოეწყობა, სულ 52 შეხვედრა გაიმართება. გთავაზობთ ექსკლუზივ ქეყჯგუფში ყველა — 36 წინასწარი მატჩის სრულ ნუსხას. შეხვედრის რიგითი ნომრის შემდეგ მონიშნულია ჯგუფის ნომერი, მატჩის გამართვის თარიღი, ადგილი და თამაშის დასაწყისი. დრო თბილისსაა, რომლის სხვაობა მექსიკის დროსთან 11 საათია. მაგალითად, როცა მექსიკაში მატჩი 16 საათზე დაიწყება, თბილისში უკვე მომდევნო ღამის 3 საათი იქნება.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ
სატურნირო ორბიტა

ᲰᲐᲓᲠᲐᲪᲘ. იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში მიმდინარე სუპერტურნირის მეოთხე ტურში ლუბოვეიჩმა დაამარცხა ტიმანი, სოკოლოვმა — კარპოვი, მაილსი და სპასკი დაზავდნენ, ხოლო პორტიშიუსუპოვის პარტია გადაიდო. მეხუთე ტურის წინ ლუბოეევიჩს და მაილსს 2,5-2,5 ქულა ჰქონდათ, სპასკის — 2, სოკოლოვს — 1,5 (2 გადადებული პარტია), პორტიშს — 1(2), კარპოვს — 1(1), ტიმანს — 0,5 (2), იუსუპოვს — 0 (3).

ᲠᲔᲒᲑᲘ. მოსკოვში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის „მატჩები. პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა ასეთი შედეგებით დაამთავრეს მატჩები: ალმა-ათის ასკ-ქუთაისს „მშენებელი“ — 19:15, სამხედრო-საპაერო აკადემიის გუნდი-თბილისის „ლოკომოტივი“ — 20:16.

ᲡᲐᲚᲔᲜᲓᲠᲝ ᲡᲢᲠᲝᲚᲐ. მრგვალ სტენდზე სროლაში ქალაქ ზულეში დამთავრებულ შეჯიბრებაზე უძლიერესის წოდება მოიპოვა ა. ვეგნერმა (გდრ). საბჭოთა სპორტსმენთაგან მეოთხე ადგილზე გამოვიდა. ს. პლანოვსკი, მეცხრეზე — თ. იმნიაშვილი.

ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ. ფინეთში დაიწყო მრავალდღიანი ველოსიპედოლა — „ბალტიის ზღვის ქვეყნების მეგობრობა“. ქალაქ ტურკუში გამართული პროლოგი (3 კმ) მოიგო ფინელმა კ. მიეტიოელაინენმა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ გზებზე მიმდინარე მრავალდღიანი ველოსიპედოლის („რძის ტური“) ოთხი იტალიელ შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ველოსიპედისტი პ. უგრიუმოვი. მეორე ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ჯ. აბდუკაპაროვია.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. პარიზში გრძელდება საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. მოსკოველმა ა. ჩისნოკოვმა ასპარეზობის მეორე წრეში დაამარცხა რ. ოსტერტუნი (გფრ) ანგარიშით 6:2, 6:3, 6:2 და ახლა მესამე წრეში მისი მეტოქე იქნება შვედი მ. ვილანდერი. ამ უკანასკნელმა მეორე წრეში მოუგო ა. ვრეშტეინს (აშშ) — 6:1, 3:6, 5:7, 6:3, 6:4. ქალთა წყვილებს შორის შეჯიბრების სტარტზე მოსკოველმა ს. პარხომენკომ და ლეონელმა ლ. სავჩენკომ დაამარცხეს კ. ლინდკვისტი (შვეცია) და ჟ. რასელი (აშშ) — 6:4, 6:2.

ᲙᲘᲣᲓᲝ. ბაკოში დამთავრდა სსრ კავშირის გმირის მეჰთი ჰუსეინ-ზადეს ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელშიც 420-მა ათლეტმა იასპარეზა. სხვებთან ერთად გამარჯვებულთა შორის იყო საქართველოს წარმომადგენელიც — საგარეჯოელი მ. მარიდაშვილი.

ᲛᲔᲫᲚᲘᲝᲜᲘᲜᲒᲐ. ავსტრიის ქალაქ გეტციისში დამთავრებულ მრავალმედალთა შეჯიბრებაზე ქალთა შორის უძლიერესის წოდება დაისაკუთრა დ. ჯონერმა (აშშ). მან სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა და თავისი ქვეყნის რეკორდიც დაამყარა — 6841 ქულა. საბჭოთა სპორტსმენთაგან ბარნაულელი ნ. შუბენკოვა მეოთხე იყო (6396 ქულა), კიროველი ს. ფილატოვი კი მეხუთე (6390). ვაკთა შორის ათეულში ყველას აჯობა გ. კრატჩმერმა (გფრ) — 8519 ქულა. კიეველი ა. აპაიჩევი 8016 ქულით მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲕᲔᲒᲐ გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ერმალო მინას ძე ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.

ᲔᲠᲛᲐᲚᲝ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ოჯახი.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

საქართველოს ტელევიზიის — პირველი ერთი ქვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (რეპორტაჟი მექსიკიდან). 10.55 — საფრანგეთისა და კანადის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (მექსიკიდან). 11.40 — ჩვენს დიალ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთ მაგნიტკის კომუნისტები“. 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დირიჟაბლის დაბრუნება“. 12.45 — ახალგაზრდობისათვის. „დაუმთავრებელი ავტოპორტრეტი“. (განმეორებით). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით“. 15.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.45 — „თეატრალური აფიშა“. 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „მეაზღვე ჩიჩორი“. 17.05 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (განმეორებით). 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჩემი კომკავშირი“. 18.10 სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.40 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“. 19.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საფრანგეთისა და კანადის ნაკრები გუნდები (მექსიკიდან). შესვენების დროს (19.45) „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.45 — მოამბე. 21.20 — „ოლიმპიადა-80“. ოლიმპიადა-80-ის მხატვრული გაფორმებისათვის. ამავე წლიდან არის იგი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, მუშაობს ლენინგრადის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კომბინატში. დ. ბერიძის შემოქმედება გამოირჩევა ჟანრული მრავალფეროვნებითაც — ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, დეკორატიული ქსოვილი, გობელენი.

შაბათი, 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 9.55 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები (მექსიკიდან). 11.25 — ხალხური შემოქმედება. „თუშეთის ბილიკებზე“ (განმეორებით). 11.40 — დოკუმენტური ფილმი „ანტარქიდის აღმოჩენა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.15 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ნუკრის თავგადასავალი“. 15.35 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშური განაწესთან“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — შვეისწავლეთა ინგლისური ენა. 16.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.00 — განცხადებები. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „რთული გზა“ (ალკოპოლის მავნეობის შესახებ). 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფეხარსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.10 — კონცერტი „მღერის ანატოლი ჭურულიაა“. 18.45 — „ახალი ხალხო კონტროლის ეკრანი“. 19.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „იმედის მწვანე კუნძული“. 21.55 — „ჩვენი საუკუნე ეკავშირ უახლესი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის. მხატვრული თვითმოქმედების II საკავშირო ფესტივალი. ანსამბლ „ჭყონდიდის“ კონცერტი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. შესვენების დროს (23.45) — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბოსკოვის ბალეტის ეკრანზე“. 17.45 — მხატვრული ფილმი „რაც მოგივა დავითთან“.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“. 10.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (რეპორტაჟი მექსიკიდან). 10.55 — საფრანგეთისა და კანადის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (მექსიკიდან). 11.40 — ჩვენს დიალ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთ მაგნიტკის კომუნისტები“. 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დირიჟაბლის დაბრუნება“. 12.45 — ახალგაზრდობისათვის. „დაუმთავრებელი ავტოპორტრეტი“. (განმეორებით). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით“. 15.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზღვაური“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 16.45 — „თეატრალური აფიშა“. 16.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „მეაზღვე ჩიჩორი“. 17.05 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (განმეორებით). 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჩემი კომკავშირი“. 18.10 სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.40 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“. 19.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საფრანგეთისა და კანადის ნაკრები გუნდები (მექსიკიდან). შესვენების დროს (19.45) „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.45 — მოამბე. 21.20 — ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიციეს საოპერო თეატრის სცენაზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი თბილისის მოტივები“. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები (მექსიკიდან). შესვენების დროს (23.45) — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „გზა მშვიდობისა, ჯაყო“. 17.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეს სიმპათიური მგლები“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ურუგვაის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (მექსიკიდან). 11.00 — შოტლანდიისა და დანიის ნაკრები გუნდები II ტაიმი (მექსიკიდან). 11.45 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კიროვო-ჩეპეცეი“. 12.00 — „მუსიკოსები ხუმრობენ“ (განმეორებით). 13.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „მეაზღვეგეთა ძალები „ალი“ და მულტიპლიკაციური ფილმი. 15.05 — ხალხური შემოქმედება — დავით ია ბეგელი (განმეორებით). 15.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების საუნჯე“. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — განცხადებები. 16.55 — „ჩვენი სტუმრები“. 17.25 — მოსწავლეთათვის. კონცერტი (მონაწილეობენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფოლკლორული კოლექტივები). 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.15 — „ექო“. 19.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. შოტლანდიისა და დანიის ნაკრები გუნდები (მექსიკიდან). შესვენების დროს (19.45) — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.45 — მოამბე. 21.20 — „პოეზია“. ლია სტურუა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის. მხატვრული თვითმოქმედების II საკავშირო ფესტივალი. ანსამბლ „ჭყონდიდის“ კონცერტი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. შესვენების დროს (23.45) — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოსკოვის სატირის თეატრი ეკრანზე“. 17.45 — მხატვრული ფილმი „რაც მოგივა დავითთან“.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.40 — გამოცდები, გამოცდები... 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. კანადისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. II ტაიმი (მექსიკიდან). 11.00 — „ჯანმრთელ